



საქართველო  
მინისტრი

# სახალხო გამარჯვებულები

ს უ რ ა თ ე გ ი ა ნ ი დ ა მ ა ტ ი გ ა

გაზეთის № 813

დამაცემის № 143

შაბათი, 2 თებერვალი 1913 წ.

## არა დირი სიკვრისის

1.

ტყის პირად ღრმა ხევს ბუერა მოსდებოდა, ხოლო მისი დაქანებული ბეჭები ლერწმით იყო შემოსილი. გაუგალ შაბად ატეხილიყო ხშირი და მაღალი ლერწამი. ძლიერად იცავდა იგი თავის თავს და თავის ადგილს უკეთ მცენარეთა, თუ ავნებელი ცხოველთაგან: მწყობრად მიჯრილი ლელის ლერმბი ჩრდილში და ნესტში აშთობან პოპობრენ სხვა ბალასს უკეთს, ხოლო ფოთლები სამართებელივთ სხევდნენ ტიტველა კანს. ნიაღავი აქ მუდმივ სველი იყო, გაფლენილი, საფლობი. ერიდებოდა ამ ადგილს ადამიანიც, ცხოველიც; ვერა ჰედვიგენ გადაექელნათ ის და მხოლოდ იმ ბილიკზე ჩადიოდნენ, რომელსაც ერთ ადგილას გადაესერნა ლერწმინი ნაკადულამდე. პირს ნაკადი დაბურული იყო ბუერით, მისი ანკარა წყალი მხოლოდ აქა-იქ ელავდა მზის სხივებზე, ფოთლებსა და ფოთლებზე შუა. ხევ-ზევით გადაკიმულიყო მოსავლით სავსე მინდვრები.

ლერწამი ისევწონ-რჩი იყო, მწვენე, ხას-ხასი; ჯერ არ დაპურებულიყო, სიმწიფე და სიყვითლე არ შეჰპარვოდა, გაშრობ-გახმობაზე სრულიად არა ფიქრობდა. სველ და ნოკიერ, ნიაღაგზე ისეთი ტანი ექნა ამ ხანმოკლე მცენარეს, რომ თავს, წასდგო-მოდა მის მახლობ-ლად ატეხილს სხვა ბამბას, დაქრდილა იგი და სკლილობდა შესჯიბრებოდა იმ წვრილმანსაც, იქვე ახლო ტყის პირას რომ იზრდებოდა; თავს იხრიდა იგი მხოლოდ ამაყ ხეების წინ, ტყეს რომ გა-მოსულენილენ და ველზე განმარტოებით გამდგარიყვნენ ჩაფიქრებულნი.

არა ცხელოდა, თუმცა მთლად მოწმენდილი იყო ცა: ნახულს და გული აღევსო სიხარულით, ნიაღი მოდიოდა ტყიდან ნელი და ჰაერს აგრილებდა. ნიაღის მაღლობით.



ბ. რედაქტორი უნივერსიტეტის პროფესორი  
ქ. ჭ. ე. გ. ვ. ვ. ლ. ი.  
(იხ. დღევანდელი გაზეთი).

ვლ. მესეიავილის წაგილები გამო.



ვლ. მესეიავილი და მისი მოწაფენი:  
ნინო ჩხეიძე, მარიამ მდივანი და ნიკო გვარაძე.

ყოველ შემობერვაზე ლერწამი ირხეოდა, ზეირთდებოდა, ოელავდა და ადგილ-ადგილ მკერდს გადუსხნიდა მოქანებულ ჰა-ერის ტალებს, რომ მათვეის თან გაეტანებინა დაკარგებული ნესტი და ბული, გაემზევლებინა თვისი გული თუ წიალი. ტყის სუფთა ნიაღი უვლიდა ლერწმოვანს, სწმენდა მას და

თან გაპერნდა მავნე რამ ოშეი-ვარი შეგუბებული. მზრუნველ ბუნებას ეს სამსახური დაევა-ლებინა ნიაღისთვის და ცქრია-ლაც ასრულებდა, დამაცებელის სურვილს პირნათლად, მხი-არულად, ლინილ-გუგუნით; ხან იქ მოსმოდა მის ჰაეროვან ფრთათა შრიალი, ხან აქ.

2.

განა მარტო მცენარეებს ესი-ამონებოდათ ცელქი ნიაღის ცქრიალი! ყველა სულდემული სიხარულით ეგებებოდა მას და დღის სიცხისაგან სულშეგუბე-ბული მკერდს უშვერდა, რომ გაეგრილებინა გული. ელის-ბარსაც უხაროდა მაცოცხლებელი სიო: ქუდი მოხეადნა, შუბლი მიეშვირნა გასაგრილებ-ლად. ნელ-ნელა ასდევდა ჭა-ბუკი ლელის პირს, ეოლერსე-ბოდა თავთავ შეყრილ ყანას, რომელიც მოსდგო-მოდა ხევს გახშირებული და სკლილობდა დაუქირია ის ვიწ-რო ბილიკიც, ხევის პირას რომ ასდევდა. სიამოვნებით დაკუ-რებდა ელისბარ ყა-ნას, გრძნობა-დაკარ-ბებული უალერსებ-და მას და ხელსა ჰევევდა ბილიკისაკენ გადმოხრილ თავთავ-თა ჯგუფებს, რომ გულში ჩაეკრა ისი-ნი, ეგრძნო თვის სა-ხეზე მათ წამწამთა შეხება და ეყნოსა მა-თი მაღიანი სუნნე-ლება. ასცდა ქაბუკი ხოდაბუნებს და მიუ-ახლოვდა ლერწმი-ანს. მაინც ერთი კო-დევ გადმოხედა მო-სიყვარულე თვალით უხევდა მოსულ ჭირ-შემოქმედ ძალისადმი

— ნუ, ბუნებავ, უხვადმომცემელო, ნუ მოუშლი შენს სიკეთეს შენგანვე გაქნილს სულდგმულს, ააცდინე ამ შენგან მონიჭებულ წყალობას ყოველივე მრისხანება შენი, რომ მაღლობით და სიხარულით მოსთვლ-მოიმკონ სავსებისაგან შენისა! — წარმოსთქვა ყაზვილვა სასოებით.

გასცდა ელისბარ მინცვრებს, დაუახლოვდა ტყის პირს, მაგრამ ტყეში შესვლა აღარ მოისურვა და იქვე ბეჭე ჩამოჯდა, ლერწმიანის თავში. მწვანით მოსილი, ფერად-უერადად შემკული ბუნება უალერსებდა ქაბუკის თვალს; მცენარეთა შრიალი და სიოსაგან გახალისებულ სულდგმულთ მხიარული ხმაურობა ატკბობდა მის სმენას; ფიანდაზად გადაშლილ კვპლუც ყვავილთა სუნელება ასიამოვნებდა მის ყნოსვას; კეთილშეზავებული ჰერი ეტრუსიალებოდა მას ნაზად და თავს ევლებოდა. ბუნება თავის სიუხვით და სიტურფით საამოდ გადაშლილიყო მის გარშემო და ანეტრარებდა მას. იჯდა ქაბუკი ხევის პირს ღიმმორეული: იგი შეჭხაროდა ბუნებას და შესტრუფოდა, იგი მთელის არსებით შეერთებოდა მის დაუშრეტელ ძალას სიცოცხლისა, მის სიმღიდეს ულეველს, მრავალფერობას შეუსაზღვრელს, სიტურფეს უცვალებელს, და ჰერძნობდა ცხადად, რომ თვითონაც მთელი თვისი არსებით მხოლოდ ნაწილი იყო იმავ სამარადის ბუნებისა, ქმნილება მისი განცალკევებული და თანაც მასთანვე გაერთიანებული განუკვეთელის კავშირით, მისივე სიცოცხლით სულდგმული, მისი წიალიდან გამოსული და მისსავე წიალად მიმქცევი, მის არსებაში სამუდამოდ ჩასანთქმელად. გული გაპლებოდა ქაბუკს სასიკეთოდ, კეთილთა საუნჯემდინ გაჭხსნოდა მას შეგნება და მხოლოდ კარგს და ჰერძნობდა იგი ამჟამად, მხოლოდ სიკეთის თუ სიყვარულის განხორციელება და გამხდარიყო მისი მიზანი და მისწრაფება. ჰსურდა ქაბუკს ძლიერად გაეშალნა მკლავნი, გარს შემოექცდო მთელის არსისათვის, მიეზიდნა თვისკენ და დაეკოცნა იგი, როგორც სატრუფო ვინშე ცხოვრების მომცემელი.

## 3.

მოილალა ელისბარ ბუნების საერთო სურათის შეგრით და მისმა თვალმა გაარკვია ცალ-ცალკე საგნებიც, შემადგენელი ამ დამატებობები მთლიანობისა; მისი ყურადღება მიეკურო საერთო მშვენიერების შემადგენელ ნაწილთ და გაითვალისწინა იგინი. აგერ კის კამარაზე შეფენილი, გამჭვირვალე ღრუბელი, რომლისთვის დახრილ მზეს ვარდისფერი კუწუბი შემთურტყამს გარს; აგერ ჩამიმვალი მზის სხივებით განათებული მთა, უკვე ჩაჩრდილული ხევები რომ ჩამუქებია ფართო ზოლებად; მთის დაბალ კალთებზე ქირნახულით აქრელებულ-აფერადებული მინცვრები; ხევის პირას — უზარმაზარი მუხა, ძერა რომ დასტრიალებს ღინჯად თავს; ძირს, ბუერიანის ზევით, ჩანჩქარი, სადაც მარგალიტებად იბნევა ანკარა ნაკალელი; წინ, ჩაღმა, შრიალა ლერწმიანი, რომელსაც თავს ევლება ათასგარი მწერი, თუ ჩიტუნა, ხოლო ლერწმიანს აქეთ მთლიად გამოცალკევებულ-გამონაპირებული ერთი ლერი ლელი, ობლად რომ სდგას ტოლ-სწორს გამოცილებული.

გალადებულა ეს განმარტოებული ლერწმიანი, მაღლა წა-სულა ისარივით და თავმომწონედ დაპყურებს თავის დობი-

ლებს. მაგრამ, დახე, ეს აყიროსავით ტანაყრილი მცენარე თითქო ოდნივ წახრილა; სხვები რომ ნიავჭე მთელი ტანით ირევ-იხრებიან და მოქნილად იზნიქებიან, იგი ლერწმიანი ძირი-დან იხრება და მთლიანად გადად-გადმოდის. ლერწმიანი მიიპყრო ქაბუკის გულისული, ხოლო მისმა თავისებურმა მოძრაობაში აღძრა მისი ცნობისმოყვარებობა. ადგა, მიუახლოვდა მას და სინჯვა დაუწყო. ფესვები მაგარი აღმოაჩნდა და სალი, ტანი სწორე და ლონიერი, ფესვებს ზევით კი ჭრილობა რამ შეაჩნდა: კვეველს წაექელნა თუ მოუხეშავად დაებიჯებინა და დაეულლა ლერი ძირში.

— შე საწყალო! ლალად ასულხარ მაღლა, ტანი გიქნია გახარებულს, დარწმუნებული ყოფილხარ, რომ ბელინიერად გაატარებდი შენს მოკლე სიცოცხლეს, სამხიარულოდ მოიხმარებდი იმ ღრას, რომელიც უძღვნია შენთვის გამჩენელს, მაგრამ მოსტყუებულხარ! შემთხვევით დაზიანებულხარ სასტი-

კად და უკვე თავს დაგტრიალებს აჩრდილი სიკვდილისა: ყანდი შეგვარება და გულს დაეგავადებს, გაგანადებურებს, გაგაციოთლებს, გაგახმობს, მოგსკობს.


გაუწმინდა ლელს ნამზნევი ადგილი, სიმაგრე რამ ააყოლა დაელლილზე, ჩახია ხელ-ცახოცი და შეუხვია მცენარეს ჭრილობა. მსუბუქმა რამ ნაღველმა მოიცავა მისი სული, ქმუნებამ უსაგნომ. შეემლვრა კმაყოფილება, როგორ შენიშვნა ამ უდარდელად გადაფურჩენილ სიცოცხლეში ბრჭყალი სიკვდილისა; გახუნდა ის სიხარული, რომელსაც გრძნობდა ბუნების კალთაზე ბუნების მაცოცხლებელი ძალთა მიერ გარემოცული.

ბალონბადანვე გულჩვილი იყო ელისბარ, მოყვარული, შეებრალებელი. მეტაღრე კი გული სტკიოდა მცენარეთადმი. თუ დაავადებულ ან დახაგრულ მცენარეს შენიშვნელი თავიანთ ფართო ეზოში ან ვენახში, მაშინვე მეშველად და პატრონად გამოუწინდებოდა: შეუწვევდა, რამე მალამოს დაადებდა, ტოტს აუკრამდა, წყალს მიაწვდიდა. მთელი დოო თავს დასტრიალებდა ბალი თავის

სწეულ თუ დასუსტებულ მეგობარს, უვლიდა მას და დიდი სიხარული ჰქონდა, როცა მოახრებდა რომელიმე თვისი სწეულის გამობრუნებას და გასაღებას. ძალიან უყვარდა მცენარეები და თავს ევლებოდა მათ. ხმელ ტოტს არ შეარჩენდა ხებილს; არ მოეშვებოდა, მანმ არ გაახალისებდა და გაახლებდა რომელსამე მისუსტებულ ღრერს, თუ რტოს. ისე ყოველთვის წყნარი და მომთმინო, ბოროტებოდა და ხმას იმაღლებდა, თუ მოჯამაგირე ან მებაღე არ აუსრულებდა ნებას და არ დაეხმარებოდა მცენარის მოვლაში, თუ მორწყვაში.

— ამ ბიჭს ბოლომდის შეცყვება მცენარეთა და ნიადაგის სიყვარული! იქნება ღმერთმა ჰქმანს და კარგი მემამულე დადგეს, თავისი მიწა-წყლის მოსიყვარულე, მომლელი, — იტყოდა მისი მამა.

— მეფიქრება, ეგ სიბრალული დაავადებულ-დახაგრულ მცენარეთადმი მართლა ბოლომდის არ შეცვეგს და როცა დავუკაცებდა, ქალზე არ გადაიტანოს ეგ გრძნობა. ვაშინ ხომ რომელიმე ღონემიხდილი ტურფა შეაბრალ-შეაყვარებს თავს,



ნინობა სტამბოლელ ქართველთა ეკლესიაში.

(იხ. დღევანდველი გაზეთი).

დაიმონებს და შემდეგ გააწვალებს ცხოვრებაში, —იტყოდა დე-  
და არც თუ ხუმრობით.

ელისბარ ზამთარშიაც გარშემორტყმული იყო მერენა-  
რეებით. სოფლადაც და ქალაქშიც ამის ოთახის ფანჯრებზე  
გამჭერივებული იყო ცველა ტანის საყვავილ-მცენარო ქოთან-  
კოჭები ათასნაირი ცვავილებით და მცენარეებით. მათში ხა-  
რობდა ბალდი, მათ გალერსებოდა, მათ ზრდას და აყვავებას  
შეპხაროდა. ისე იყო ბავშვი ამ თავის მეგობრებში გროუ-  
ლი, რომ ტოლ-ამხანაგიც კი აღარ აგონდებოდა.

4.

საზოგადოდაც გულჩვილი იყო ელისბარ და ბოლომდის  
შეპყავა მას სხვისი სიბრალული. გარემოებაც ხელს უწყობდა  
ესაზრდოებინა იგი თავისი გულკეთილობით და განევითარები-  
ნა: მისი მამა მდიდა-  
რი კაცი იყო და  
მას შეეძლო არა მხო-  
ლოდ გრძნობით და  
სიტყვით. ეწარმოე-  
ბინა გულჩვილობა,  
არამედ საქმითავა,  
მოქმედებით. ლარი-  
ბისთვის კი უფრო  
მტაჯველი გრძნო-  
ბაა ეს კეთილი თანა-  
გრძნობა, რადგან  
უსახსრობის გამო ვე-  
რა ვარჯიშობს იგი  
გრძნობა, მიზანს ვერ  
აღწევს, ვერა ხორ-  
ციელდება, არ იფურ-  
ჩენება სასურველად,  
თანდითან სუსტდება  
სასტიკ ცხოვრების  
დულილ-ბრუნვაში დ  
ან სრულიად იშრი-  
ტება, ან ტანჯვის  
წყაროდ გარდაიქმნე-  
ბა გულში.

მცენარეთადმი თა-  
ნაგრძნობა და სიყვა-  
რული არამც თუ  
მთლიად შერჩა ელისბარს, არამედ უფრო განუძლიერდა, გა-  
ნუვითარდა, განუფართოვდა, დაურჩმავდა, რადგან იგი მისი  
სიყვარული ეხლა სასწავლებელში უფრო შეგნებული შეიქმნა  
მცენარეთა ყოველმხრივ მეცნიერულად შესწავლაზე დამყარე-  
ბული და მათ მიზანშეწონილ ცხოვრების გაცნობით განმტკი-  
ცებული. ეყისბარ სასწავლებელში მეტის-მეტი ხალისით და-  
სწავლებოდა ბუნებისმეტყველებას და მეტადრე მცენარეთა  
ცხოვრების შესწავლას. მას ისეც საქმით ცოდნა და გამოცდი-  
ლება ჰქონდა ამ საგანში ბალობიდან შეკრებილ-შეთვისე-  
ბული, ახლა მეცნიერებამც მიაწოდა ბევრი დამუშავებული  
მასლა, თუ დასკვნა და გაუნათა წინანდელი ცოდნა, შეაგნე-  
ბინა გამოცდილება. ამისთვის იყო, რომ თავის ტოლ-ამხანა-  
გებში საუკეთესო მცოდნედ თვლებოდა მეცნიერების ამ დარ-  
გისა და მასწავლებლის საყვარელ შეგირდად.

თანდათან გაიტაცა ელისბარი თვის საყვარელი საგნის  
ყველმხრივ შესწავლამ; დარია კიდეც ახალგაზდა ამ საგანს  
სძლია იგი. მთელ სასწავლებელში გაითქვა სახელი და ამ სა-  
განში ცალი აღარა ჰყანადა მოსწავლეთა შორის: თვით, მას-  
წავლებელიც ეხლა ფრთხილად ექცეულნენ მას და ხათრია-  
ნად. გარემოებაც ყველმხრივ ხელს უწყობდა მას: ისე ჰქონ-  
და მოწყობილი თვისი სამუშაო ოთახი, როგორც რამ სამე-  
ცნიერო დარბაზი. ნიმუშები, სახელმძღვანელოები, ხელსაწ-  
უები! მე ვიცა სივიწროეს იგრ ძნობდა თავის მამის სასახლეში  
ან გაუჭირდებოდა რომელიმე იარაღისა, თუ ნივთის შეძენა.

მისი მამა სიხარულით უსრულებდა ყოველსავე სურველს-შემთხვევა  
უფრო, რომ ახალგაზდას არავითარი სხვა უაზრო და ფულის  
მფლანგავი მოთხოვნილება ველარ შეაჩნდა, ისე გაართო ის  
თავისმა საყვარელმა საგანმა.

არც სხვა სამეცადინო საგნებში იყო ჭაბუკი ჩამომმრჩა-  
ლი, არც ერთი მასწავლებელი არ გმლურებოდა მას. ნიჭიერ  
ახალგაზდას სწავლა არ უძნელდებოდა და გარემოებაც ხელს  
უწყობდა: არაფერი არა ჰქონდა მას საზრუნველი, არც ბინა,  
არც საზრდო, არც ჩატარ-დახურვა. ისე გაათავა საშუალო  
სასწავლებელი, რომ სიამოვნების მეტი არა უგრძენია რა. სა-

კმაოდაც განვითარდა: კითხვა უყვარდა და ყოველგვარი წიგ-  
ნი ხელთა ჰქონდა, ისე რომ უნივერსიტეტში კარგად განსწა-  
ვლილი შევიდა და განაგრძო საბუნებისმეტყველო განყოფი-  
ლებაში თავისი საყვარელი საგნის შეთვისება და შესწავლა-  
აღარც ეს აქმარა: რუსეთში სწავლის დამთავრების შემდეგ

ორი წელიწადი საფ-  
რანგეთში დაპყო მე-  
ურნეობის შესასწავ-  
ლად საგანგებოდ მო-  
წყობილ დაწესებუ-  
ლებაში და ეხლა მე-  
ცნიერულად დახე-  
ლოვნებული ბუნე-  
ბისმეტყველი და მე-  
ურნე დაბრუნდა შან.

კარგი ის იყო, რომ  
მხოლოდ განყენებუ-  
ლი მეცნიერი არ  
დადგა ეღისბარი,  
მარტო ჰაზრთი სამ-  
ფლობელოში დახე-  
ლოვნებული, არამედ  
მომქმედი კაცი გა-  
მოვიდა, მშრომელი.  
მას მეცნიერებასთან  
ერთად გატაცებით  
უყვარდა მცენარეც  
და მისი აღმომცენე-  
ბელი ნიადაგიც, ხო-  
ლო კერძოდ თვისი  
მამული სოფლად,  
რომელიც იმდენად  
ვრცელი იყო, რომ

შეეძლო ბატონკაცურად ეცხოვრებინა თავისი პატრონი,  
თუ კი ისურვებდა მის გონივრულად მოვლას და მოახერხებდა  
მის პატრონობას. ყმაშვილკაცი არ შევიდა სამსახურში:  
საჭირო არ იყო ბელინიერისთვის სხვის მონიბაში და ლუქმის  
ძებნაში ამოგშრო ჰაზრთი სალარო, გამოეფიტა გრძნობიდები  
გული თვისი და დაესახიჩებინა თვისი სურვილები თუ მის-  
წრაფება.

5.

უკვე სამი წელიწადი იყო, რაც ელისბარი დაბრუნდა  
უცხოეთიდან და თავის მამულის მოვლა-მოწყობას შეუდგა-  
მარჯვედ მიჰყანდა საქმე და ხვავიანად. განა მეტად ხელმომ-  
ჰირნი იყო, ან ვისმე ავიწროებდა და სხვის მარჯვნით მუქთად  
სარგებლობასა სკიდილობდა. სრულებითაც არა! მის მამულში  
დახიზული ან მომუშავე ყველა მაღლიერი იყო მისი. მა-  
მულის პირად თვითონ დაუწყო მიღევნა და ყურისგდება. ჩა-  
მოაცალა ან ალაგმა ყველა მუქთა-მჭამელი, რომელიც მის მა-  
მულს დაკრიოდა მაგნე მწერივით, ან მემამულისა და მიწის  
მომხმარებელთ შუა ჩამდგარიყო და ლვარსლიდა ორივე მხა-  
რეს. გარდა ამისა თავის მამულს ბევრი ახალი შემოსავლის  
წყარო თუ სალარი აღმოუჩინა, როგორც დაკვირვებულმა  
მეურნე-მეცნიერმა. ისეთ აღგილას აღმოაჩინა ფულის შემო-  
ტანი სასსრები და ისეთს დარგებში მეურნეობისა, რომელსაც  
და სადაც ვერც კი მოიფიქრებლნენ ვერც წინანდელნი გამ-



ენერ-ბეი და თალათ-ბეი ისმალების მინისტრთა საბჭოში, დიდ  
უზირ ქიამილ-ფაშას ხელს აწერინებენ თანამდებობიდან გადადგომის  
ქაღალდზე.

შემნახველი—გამსესხებული.

საკუთრის ამსახურის

ტრადიციის კუტებისა.

1913 წ. 1 აპ.



გენი მისი მამულისა, ვერც ახლანდელი მეზობლებ-მემალულები. ყველაზე კარგი ის იყო, რომ ამ ახალმა და ახალს წესზე აღზრდილმა მეურნემ შემოსავლის ძველი წყაროები არც მოსპო, არც შეარყია. დიდის დაკვირვებით სწავლობდა მათ მიზან-შაშონილებას, მათ ჰავასთან თუ ნიადაგთან შექსოვა-შეფერებას და მხოლოდ აუჯობესებდა სიფრთხილით, სადაც კი საჭირო იყო ან შეიძლებოდა. მეურნეობის ახალ წესების დაწყება-შემოლებაში და წარმოებაში დიდი სიფრთხილით და შეგნებულად ირჯებოდა: ფართო რამ გეგმებს არა სქიდებდა ხელს, ისეთ საოცნებო დაწყობილებებს, რომელთაც შეეძლოთ ან უცბად რამე დიდი შემოსავალი მოეტანათ ან არა, თვით მამულს დასწოლობნენ აუტანელ ტვირთად და ენაცვალებინათ ის, ზედ შემოეგლისათ. ელასბარ ვიწრო ფარგალში იწყობდა ყოველსავე ახალ ცდას, ისე რომ ერთბაშად არ ითხოვდა დიდს ხარჯს რასმე, ხოლო შემოსავალი უექველი იყო მისგან. ნიადაგის ზედპირის შემუშავებასაც აღარ დასჯერდა მემამულე, თვით დედამიწის გულიდან ამოილო სიმდიდრე. არც მთა, არც ტყე, არც მინდორი, არც წყალი არც თუ გული მიწისა აღარ იყო ებლა უქმად და უხმარიდ; ყველაფერი ამოძრავდა, ამუშავდა; მადლობით ხელი გაუწოდა თავის მაღლიან პატრიონს და სარგებლობას აღლევდა მას, რადგან მისი გამრჯელი მარჯვენა ყველაგან სწვდებოდა, ყველაფერს გულ-მტკიცნებულად ჰპატრიონობდა. მეურნეობის ყველა დარგში და მთელ თვის მამულში საზოგადოდ განსაზღვრული წესი შეიტანა, რომელსაც მარჯველ და შეუხრელად აწარმოვებდა და რომლის გამო დალის მიმკერძი მამული არ კი იფიტებოდა ან კნინდებოდა, არამედ უფრო კეთდებოდა, უკეთისდებოდა, შშეგნივრდებოდა. ბაზარიც ადვილად მოუპოვა ნაწარმოებს, რადგან იგი ნაწარმოები საღი იყო, კარგი თვისებისა, სუფთად დამუშავებულ-შენახული და სიხარულით ყიდულობნენ ყველან მით უფრო, რომ არც გადაკარგებულ ფასებში ჰყიდდა, მცირედით კმაყიოფილდებოდა და ამ მცირე მოგებითაც კარგი დიდი თანხა გროვდებოდა: მამული მოზრდილი იყო, მრავალფერი და ბევრ სხვა და სხვა მასალას თუ ნაწარმოებს იძლეოდა და სახმარადაც, ბაზარზე გასატანადაც.

ისიც კი უნდა სთქვას კაცმა, რომ ცოდნასთან ერთად ელისბარს ონეც შესწევდა მამულის მოვლაში, წელი მოსდევდა: მისი მამა ფულიანი კაცი იყო და მამულის დასამუშავებლად საჭირო ნაღდის საშორად არც ვალის აღება სჭირდებოდა, არც მამულის დაგირავება ან ნაკურ-ნაკურ გაყიდვა და დამცირებ-დაფოლება მისი.

ელისბარის მამა ჯერ ექვის თვალით უყურებდა შვილის ზრუნვა-მეცადინებობას და არ მოსწონდა, რომ იგი არ დაად-

გა იმ გათელილ-გავაკებულ ბილიქს, რომელზედაც ჩვიულზბისამებრ დადიოდნენ მისი თანამოძმე განათლებული, რომ იმანაც სხვებსავით არ შეაფარა თავი რომელსაც სამსახურს და არ დაეყრდნო მთელის სიმძიმით თავის ჯამაგირს; მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ მისმა შვილმა უფრო თავისუფალი და კარგი გზა ამოირჩია თავისათვისაც და მამულისთვისაც და და-კაუფფილდა. კიდეც წახალისდა: თითონაც ძალიან უყვარდა მამული, მაგრამ რწმენა ჰქონდა შერყეული მის შესახებ, რადგან მისმა მეზობლებმა ვერ შესძლეს მიმულების შემოსავლით კხოვრება. თითონაც აქამდინ მაგდებ ვერაფერსა რჩებოდა სოფლის მამულს; ეხლა კი ნახა, რა სახეირო ყოფილოყო მისი ადგილ-მამული და გული გაელო, მიწისადმი სიყვარული უფრო გაუცხოვდა, რადგან იგი სიყვარული ხელსაყრელი და საფუძვლიანი აღმოჩდა.

მეზობლებმაც მიაქციეს ყურადღება ამ ახალგაზრდის და-ულალავ და ჰაზრიან შრომას და კვებაში დაუჯდათ. შრომა კი სწორებ დაულალავი იყო და დაუზარებელი, მაგრამ გაშმაგებულ-გამწარებული კი არა, არც აქარებულ-აპილპილებული, არამედ მუშაობა წყნარი, აუჩქარებელი და თანაც შეუფერხებელი, მუდმივი, შეუდრკუმელი, მარად მოზომილი. მუშათა შთამომავალი იყო ელისბარ და გარჯის უნარი თუ ხერხი წინაპართაგანა ჰქონდა შეთვისებული, მეკვიდრეობით მიღებული და შესისხლ-ხორცებული. ხომ მიგებულებით ყურადღება ნამდვილი მუშაკისათვის, რომლისათვისაც ხელსაქმე შემთხვევითი შრომა კი არ არის, არამედ საჭიროება აუცილებელი, მთელ სიცოცხლეში გამყოლი ლუკმა-პურის საშორაო, არც ზედ აწყდება გულსწრაფად, არამედ ირჯება აუჩქარებლივ, მაგრამ თანაც შეუფერხებლივ; სამუშაოს სიდიდე მას გულს ვერ უწვრილებს, ვერც სულს უხუთამს: ქედზარილი შესდგომია მას და მოთმინებით ჰლევს ნელნელა, ასუსტებს. სხვანაირად არც შეიძლება. როგორ შეიძლება აქარებული ბრძოლა ჯანდაზოგველი და მთელი სიცოცხლის განმამალობაში?! და ეს მოზომილი შრომა არამც თუ არა ჰქანცამდა ელისბარს, არც აკნინებდა მის სხეულს, არამედ ეს ვარჯიში გაშლილ ველ-მინდორზე და სუფთა ჰერში მეტ სიცოცხლესა სძენდა მას, და ისეც გალა-ღებულ ვაჟაკაცს, ვარდისფრად ჰფურჩენიდა, წითლად აღალანებდა.

(ზემდეგი იქნება)

g. ბაზარი